შესავალი კონტექსტის გააზრებისთვის

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები განიცადა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო რელიგიის, განსაკუთრებით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლის ზრდა. ეკლესიამ დაიწყო თავისი გავლენის აღდგენა საზოგადოებაში, პოლიტიკასა და კულტურაში. რელიგიის აღორძინებამ გავლენა მოახდინა საზოგადოების ცხოვრებაზე, სოციალურ ღირებულებებზე და პოლიტიკურ ლანდშაფტზეც კი, რადგან ეკლესია გახდა ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე პოსტსაბჭოთა საქართველოში.

ცხადია, ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. პირიქით, საბჭოთა კავშირი შექმნის წუთიდან ათეისტური სახელმწიფო იყო, რაც გამყარებული იყო კომუნისტური პარტიის იდეოლოგიით. კომუნისტური პარტია ბრძოლას უცხადებდა ყველა რელიგიურ ჯგუფს, რადგან ღმერთის იდეა წინააღმდეგობაში მოდიოდა მატერიალიზმისა და სოციალიზმის იდეასთან.

მიუხედავად იმის, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში გარანტირებული იყო რწმენისა და სინდისის თავისუფლება (1936 წლის სტალინური კონსტიტუცია, მუხლი 124) და გამიჯნული იყო სახელმწიფო და ეკლესია, საბჭოთა ტოტალიტარული მანქანა სასტიკად სდევნიდა ყველა აღმსარებლობას.

ფოტო *1;* ანტირელიგიური პოსტერი, *1930*-იანი წლები.

ფოტო *2;* - ღმერთი არ არის*!* *1960*-იანი წლები.

1936–1937 წლების წითელ ტერორის დროს მასობრივად უსწორდებოდნენ სასულიერო პირებს, ხურავდნენ და ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, პარალელურად კი საბჭოთა პროპაგანდა აქტიურად ებრძოდა რელიგიისა და რწმენის ყველა გამოვლინებას. ამ მიზნით შექმნილი იყო პროპაგანდისტული ჟურნალ-გაზეთებიც, მაგალითად საქართველოში 1933–1934 წლებში გამოდიოდა ჟურნალი საქართველოს უღმერთო/მებრძოლი უღმერთო, რომელმაც საფუძველი შეუქმნა მოგვიანებით სასულიერო პირთა მასობრივ რეპრესიებს.

ტოტალიტარული სისტემის ტერორის მანქანამ ერთხელ და სამუდამოდ მოახერხა ყველა რელიგიური ჯგუფის, მათ შორის მართლმადიდებლური ეკლესიის დამორჩილებაც. წითელი ტერორის შემდეგ არჩეული ყველა პატრიარქი ანგარიშს უწევდა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. უფრო მეტიც, ეკლესიის ხელმძღვანელების არჩევაში პირდაპირ მონაწილეობდა საბჭოთა სახელმწიფო, რასაც 1972–1985 წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძეც ადასტურებდა (იხ. https://www.youtube.com/watch?v=t1g6_5ih2kg).

რელიგია და რწმენა ტრანზიციის პირობებში – რუსუდან კობახიძის ისტორია

რუსუდან (რუსიკო) კობახიძე-არეშვილი დაიბადა 1964 წელს თბილისში. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. გასული 10 წლის მანძილზე მუშაობდა საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიაში მკვლევრის პოზიციაზე. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს გვიან საბჭოთა პერიოდში საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს, მათ შორის რელიგიის საკითხებს.

რუსუდანის მეხსიერება იწყება 1970-იანი წლებიდან, თუმცა ჩვენ მიერ მომზადებული ინტერვიუ უკავშირდება გვიანი პერესტროიკის (გარდაქმნის) პერიოდში ქართულ საზოგადოების დამოკიდებულებას რელიგიისა და რწმენის მიმართ.

კობახიძე იხსენებს, თუ რა დამოკიდებულებები არსებობდა მის გარშემო მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ 1980-იან წლებში და როგორ იცვლებოდა ეს დამოკიდებულებები პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებთან ერთად.

რუსუდანი აღნიშნავს, რომ ეროვნული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად საზოგადოება უფრო რელიგიური გახდა. ადრეულ 80-იან წლებში კი ახალგაზრდების მიერ მართლმადიდებლურ რიტუალებში მონაწილეობა ერთგვარი ამბოხების ფორმა გახდა საბჭოთა ათეისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დროთა განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი იზრდებოდა. რელიგიის მიმართ საზოგადოების განწყობა განსაკუთრებით შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაშიც დიდი როლი ითამაშა ეროვნულმა მოძრაობამ. ეროვნული მოძრაობის ლიდერები ხშირად იყენებდნენ ქრისტიანულ სიმბოლოებს, მათ შორის წმინდა ნინოს ჯვარს. 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი სისხლისღვრის შემდეგ სანთლები და ჯვრები სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა საჯარო სივრცეებში, რაც იმ პერიოდის ფოტო და ვიდეო არქივებშია ასახული.

რუსუდანის აზრით, 1990-იანი წლებიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი განუზომლად იზრდება, რაც ამ რელიგიასა და ქართულ სახელმწიფოს შორის მტკიცე კავშირს აჩენს. ეს კავშირი ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი, ვინაიდან დემოკრატიული მმართველობის პირობებში სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტები მკაცრად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე მთხრობელი აღნიშნავს, რომ 2002 წელს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება დისკრიმინაციული იყო სხვა რელიგიების მიმართ.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ თითოეული ადამიანის მიერ გადმოცემული ამბავი ინდივიდუალური და სუბიექტურია. მათ მეხსიერებასა და შეხედულებებზე დიდ გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი. ასეთი ფაქტორებია გარემო, ოჯახი, განათლება, სამეგობრო და უახლოესი გარემოცვა, ვისთანაც ადამიანს შეხება აქვს და ა.შ.

თაიმლაინი და ტერმინები

— **1977 წელი:** საქართველოს კათალიკოს პატრიარიარქ ილია მეორეს კურთხევა;

— **ინტრონიზაცია:** ახალარჩეული პატრიარქის ან პაპის ტახტზე სადღესასწაულო აყვანის რიტუალი;

— **1987–1988 წლები:** ეროვნული მოძრაობის საგრძნობი გაძლიერება საქართველოში;

— **1989 წლის 9 აპრილი:** მშვიდობიანი მიტინგის ძალადობრივი დაშლა საბჭოთა ჯარების მიერ, რომელსაც 21 ადამიანის, მათ შორის ახალგაზრდა ქალების სიცოცხლე შეეწირა;

— **სამხედრო საბჭო:** 1992 წლის დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებისა და კანონიერი მთავრობის განდევნის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული ფაქტობრივი ხელისუფლება;

— **2002 წლის 22 ოქტომბერი:** კონსტიტუციური შეთანხმება (ე.წ. კონკორდატი) საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომლის საფუძველზეც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიას განსაკუთრებული პრივილეგიები მიენიჭა;

— **2003 წლის 23 ნოემბერი:** ვარდების რევოლუციის გზით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ცვლილება.

დავალება (IX–XI კლასები)

დისკუსია მცირე ჯგუფებს შორის თემაზე რელიგია და რწმენა საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის შემდეგ (40 წუთი)

მომზადება (10 წუთი)

დაყავით მოსწავლეები 4–5 წევრიან ჯგუფებად;

მიაწოდეთ ჯგუფებს თითო საკითხი და კითხვები განსახილველად (1. რეპრესიები სარწმუნოების წინააღმდეგ და საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდა; 2. საბჭოთა კავშირის დაშლა და რელიგიის როლის ზრდა; 3. რელიგია და სახელმწიფო თანამედროვე საქართველოში).

ტაიმკოდები:

1. 0:51–3:23, 5:00–5:58 (დამოკიდებულება რელიგიისა და რელიგიური დღესასწაულებისადმი);
2. 6:46–10:00 (რელიგიის როლის ზრდა 1980–1990-იან წლებში);
3. 11:23–14:20 (მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელ საქართველოში);

სადისკუსიო კითხვები

(ამობეჭდეთ და დაურიგეთ ჯგუფებს)

პირველი ჯგუფისთვის: საერთო კითხვა — იფიქრეთ, რა განსხვავებაა რწმენასა და რელიგიას შორის

1. რა ხერხებს იყენებდა საბჭოთა კავშირი რელიგიის, რწმენისა და რელიგიური ლიდერების წინააღმდეგ? (გაიხსენეთ ისტორიის გაკვეთილებზე ნასწავლი მასალა);

2. როგორ აღწერდა საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდა ეკლესიას და მორწმუნე ადამიანებს?

3. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ უწევდნენ ადამიანები წინააღმდეგობას ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელიც ზღუდავდა მათ რწმენას და რელიგიურ ცხოვრებას?

4. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენდა რწმენისა და რელიგიური ცხოვრების შეზღუდვა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ადამიანთა ყოველდღიურობაზე?

მეორე ჯგუფისთვის: საერთო კითხვა — იფიქრეთ, რა განსხვავებაა რწმენასა და რელიგიას შორის

1. როგორ იმოქმედა საბჭოთა კავშირის დაშლამ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე?

2. რა როლი ითამაშა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და როგორ დაეხმარა ის ხალხს გარდამავალ პერიოდში (საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში)?

3. როგორ ფიქრობთ, აღნიშნავდნენ თუ არა შობას, აღდგომას და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს საბჭოთა კავშირში? რა შეიცვალა ამ მხრივ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?

4. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა და აძლიერებს თუ არა ასეთი დღესასწაულები ხალხში ეროვნულობის განცდას (ეროვნულ იდენტობას)?

მესამე ჯგუფისთვის: საერთო კითხვა — იფიქრეთ, რა განსხვავებაა რწმენასა და რელიგიას შორის

1. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა საზოგადოების დამოკიდებულება რელიგიის მიმართ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე?

2. თქვენი აზრით, როგორია უფროსი და ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულება რელიგიისადმი თანამედროვე საქართველოში?

3. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის (1921) თანახმად: არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ყველა სარწმუნოების მიმართ სახელმწიფოს თანაბარი დამოკიდებულება ჰქონდეს?

4. რა როლს თამაშობენ ძირითადი რელიგიები საქართველოში სიღარიბის, სოციალური პრობლემებისა და განათლების მიმართულებით? გაიხსენეთ მსგავსი მაგალითები.

ჯგუფური დისკუსიის მსვლელობა (20 წუთი)

წარმართეთ და წაახალისეთ დისკუსია: მიეცით მოსწავლეებს საშუალება თავისუფლად გამოთქვან აზრი მათი ჯგუფისთვის გადაცემული საკითხის გარშემო;

სასურველია ბრეინშტორმინგის ფორმატის გამოყენება, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, საპრეზენტაციო ფურცელზე დაიტანონ მათი იდეები, შეხედულებები, შესაძლო ასოციაციები და ინფორმაციები სადისკუსიო საკითხის გარშემო;

ფასილიტაცია მასწავლებლის მხრიდან: მასწავლებელი მიდის ყველა ჯგუფთან, აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეებს დისკუსიის წარმართვასა და ინფორმაციის თავმოყრაში; შემოაქვს ახალი ხედვები, რაც ხელს უწყობს დისკუსიის წარმართვას.

შედეგების პრეზენტაცია (10 წუთი)

— თითოეულ ჯგუფს ეძლევა 1 წუთი თავიანთი დისკუსიის შედეგების შეჯამებისა და წარმოდგენისათვის;

— შეჯამება შეიძლება გააკეთონ არჩეულმა მომხსენებლებმა.

მასწავლებლის სიტყვა (2–3 წუთი)

მასწავლებელი თავს უყრის დისკუსიის დროს წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს და აჯამებს დავალების შედეგებს.